სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 ივნისი, 2025 წ.

ბრძანება N 01-08/411

ბსუ-ს ,,აგრარული ტექნოლოგიების '' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ,,აგრო სტიპენდიის" დანიშვნისა და გაცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" და ბსუ-ს შორის „აგროსტიპენდიის" ნომინაციების ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ 2025 წლის 03 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების, ,,აგროსტიპენდიის" მიმღები ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,აგრარული ტექნოლოგიების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შესარჩევი კონკურსის თაობაზე'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 04 ივნისის N01-02/114 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სლოვენიაში, ქალაქ მარიბორში მივლინების შესახებ'' ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 მაისის N01-14/188 ბრძანებისა და ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 17 ივნისის №685914 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს (წინამდებარე ბრძანების N1 დანართი) დაენიშნოს და გაიცეს ,,აგრო სტიპენდია".
2. წინამდებარე ბრძანების შესახებ ბსუ-ს ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმა აცნობოს სტუდენტებს (ბრძანება განთავსდეს მათ პირად საქმეებში) და სსიპ - „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს''.
3. ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვით განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები'').
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი — მ. ხალვაში

ბსუ-ს „აგრარული ტექნოლოგიების '' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში „აგრო სტიპენდიის“ დანიშვნისა და გაცემის თაობაზე ''

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 18 ივნისის N 01-08/411 ბრძანების
N1 დანართი

2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში „აგრო სტიპენდიის“ მიმღები ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები
(საფუძველი: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს“ და ბსუ-ს შორის „აგროსტიპენდიის“ ნომინაციების ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ 2025 წლის 03 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება)

„აგრო სტიპენდიის“ მიმღები ბსუ-ს სტუდენტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	სწავლების საფეხური/საგანმანათლებლო პროგრამა	„აგრო სტიპენდიის“ ერთჯერადი ოდენობა ლარში(კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).
ლიკა ხარაძე		ბაკალავრიატი/„აგრარული ტექნოლოგიების“ მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი	1000 ლარი
ლია დავითაძე		ბაკალავრიატი/„აგრარული ტექნოლოგიების“ მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი	1000 ლარი